ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6372764

ნომერი: AR1950171

თარიღი : 17.02.2023

გაცემის თარიღი : 17.03.2023

გაცნობის თარიღი : 17.03.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფერმწერთა , N 143 , N 145 , N 147 , N 149 , ქალაქი ქ.თბილისი , ლისის ტბის დასახლება;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ჭუმბურიძე პ/ნ 01018003942
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 17 თებერვალს №AR1950171 განცხადებით მომართა ნიკა ჭუმბურიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 2

თებერვლის №6311557 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებით, №01.14.16.009.509 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (,,ა“, ,,ბ“, ,,ც“ და ,,დ“ ბლოკები) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 2 თებერვლიდან 2026 წლის 2 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ სურს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 16295.3 კვ.მ-ის ნაცვლად 14646.6 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 2546.7 კვ.მ-ის ნაცვლად 2494.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 743.4 კვ.მ-ის ნაცვლად 2601.2 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 199.5 კვ.მ-ის ნაცვლად 193.4 კვ.მ-ის დაფიქსირება. ამასთან, სამშენებლო მოცულობად 155.38 კუბ.მ-ის ნაცვლად 83947.5 კუბ.მ-ის, 0.00 ნიშნულის ზევით 129.49 კუბ.მ-ის ნაცვლად 70560.6 კუბ.მ-ის და 0.00 ნიშნულის ქვევით 25.89 კუბ.მ-ის ნაცვლად 13386.9 კუბ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე დამხმარე ფართობების გასწორება გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და 23531.4 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 23682.2 კვ.მ. ამასთან, არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 14646.6 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 2494.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2601.2 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 193.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 23682.2 კვ.მ. ამასთან, სამშენებლო მოცულობად 83947.5 კუბ.მ., 0.00 ნიშნულის ზევით - 70560.6 კუბ.მ. და 0.00 ნიშნულის ქვევით - 13386.9 კუბ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები (გარდა ,,ა“, ,,ბ“, ,,ც“ და ,,დ“ ბლოკების სახურავების გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 2 თებერვლის №6311557 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.